

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

ამონარიდი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 ივლისის N 41/ს ბრძანებიდან „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოში თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების , თანამშრომელთა სამსახურში მიღების, საორიენტაციო ტრენინგის გავლისა და სამსახურიდან წასვლის წესის“ დამტკიცების შესახებ

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

1. კონკურსის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, მათი განხილვის მიზნით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.
2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.
3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, ვერ იქნება საპრეტენზიო კომისიის წევრი.
4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
5. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.
6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი და დაურთოს ოქმს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
7. კონკურსსანტებს შეუძლიათ სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე შეიტანონ განცხადება და გამოხატონ პრეტენზია კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. განცხადება საპრეტენზიო კომისიის მიერ განიხილება არაუმეტეს 3 დღეში.
8. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ნატა გოდერძიშვილი - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

ტელ: (+995 32) 291 51 40 (116); ელ.ფოსტა: foi@dea.gov.ge